GRASS
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 13
თარიღი: 14 03 2022 წ.

GRASS FactCheck

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40-ე მუხლით დადგენილ ვადაში გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, 24 თებერვლიდან დღემდე, უკრაინის რამდენი მოქალაქე შემოვიდა საქართველოში?
- არის თუ არა განსაზღვრული უკრაინის დაახლოებით რამდენი მოქალაქის მიღებას (ლტოლვილის/ჰუმანიტარული/დროებითი დაცვის ქვეშ მყოფის სტატუსით) აპირებს საქართველო? ამ მიზნით საქართველოს მთავრობას ჰქონდა თუ არა პროაქტიური კომუნიკაცია უკრაინის ხელისუფლებასთან ან ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან და რაში გამოიხატა ის?
- რა ვადით მიენიჭებათ უკრაინის მოქალაქეებს ლტოლვილის/ჰუმანიტარული/დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი, ასეთი სტატუსის მინიჭების შემთხვევაში?
- სახელმწიფოს მხრიდან რა შეღავათებით/დახმარებით/სერვისებით სარგებლობენ/ისარგებლებენ უკრაინის მოქალაქეები, რომელთაც აქვთ/მიენიჭებათ ლტოლვილის/ჰუმანიტარული/დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი?
- სახელმწიფოს მხრიდან რა შეღავათებით სარგებლობენ/ისარგებლებენ საქართველოში მყოფი უკრაინის მოქალაქეები, რომლებიც ომის დაწყებამდე ტურისტულად შემოვიდნენ ქვეყანაში და არ გააჩნით ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი? როდემდე ისარგებლებენ ისინი არსებული შეღავათებით?
- გამარტივდა თუ არა (ან იგეგმება თუ არა) უკრაინის მოქალაქეებისათვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული/დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების პროცედურები? (დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ განგვიმარტოთ რა შეიცვალა).

პატივისცემით,

Fatcheck.ge-ის რედაქტორი

მალხაზ რეხვიაშვილი

საკონტაქტო პირი:

თეონა აბსანძე (Fatcheck.ge-ის უფროსი ანალიტიკოსი)

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის 189
მობ: 598 77 54 04
ელ.ფოსტა: teonaabsandze@gmail.com